# სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს

# სხდომა №32

## <u>დღის წესრიგი</u>

1. ა) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების "აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის შესახებ", დამტკიცება;
   ბ) საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსში მონაწილეთა შეფასებისა და შერჩევის წესის შესახებ (მომხსენებელი სტუ-ს აკადემიური საბჭოს წევრი პროფ. ზურაბ ლომსაძე);

2. სტუ-ზე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადმოცემული ფართების იჯარით გაცემის საკითხის დამტკიცება. (მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი);

3. სტუ-ზე უზუფრუქტის ფორმით გადმოცემული სოფ. საგურამოში მდებარე ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის შენობის სახურავზე არსებული 10 კვ.მ ფართის იჯარით გაცემის საკითხის დამტკიცება. აღნიშნული ფართი გაიცემა გადამცემი ანტენების განთავსების მიზნით, 4 წლის ვადით. საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით. (მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი);

4. ნაგებობების სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვაში ცვლილების დამტკიცება. ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული "საქონელი და მომსახურების" მუხლში კერძოდ, "სამეცნიერო ხარჯების"(5500 ლარი) ეკონომიიდან 1350 ლარი გამოყენებული იქნას შენობა-ნაგებობების დაზღვევისათვის, ხოლო 3450 ლარი გამოყენებულ იქნას ჰოლანდიასა და გერმანიაში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად, მივლინების თანხების დასაფარავად. (მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი);

5. სტუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკისათვის მთავარი სპეციალისტის ერთი საშტატო ერთეულის დამატების საკითხის დამტკიცება (მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი);

6. მიმდინარე საკითხები.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს**
**2009 წლის 20 მაისის სხდომის**
**ოქმი №32**

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, სიითი შემადგენლობის 71 წევრიდან, ესწრებოდა 58. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და მოუწოდა კენჭისყრისაკენ.

**წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.**

**სპიკერმა** ხმის დამთვლელი კომისიის წევრებს: პროფ. გენადი იაშვილს, პროფ. ხათუნა ჟვანიას და სტუდენტ პაატა მალაზონიას სთხოვა დაეკავებინათ თავიანთი ადგილები.

**სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე** – განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი

– ა) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების "აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის შესახებ", დამტკიცება; ბ) საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსში მონაწილეთა შეფასებისა და შერჩევის წესის დამტკიცება – მომხსენებელი სტუ-ს აკადემიური საბჭოს წევრი, პროფ. ზურაბ ლომსაძე. (იხ. დებულება, დანართი 1).

**პროფ. ზურაბ ლომსაძე** – დებულება შესწორებული სახით დაეგზავნა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს ელექტრონული ფოსტით. 19 მაისს კიდევ შეიკრიბა აკადემიური საბჭო და შეტანილ იქნა გარკვეული შესწორებები და დამატებები. გთხოვთ, ჩაინიშნოთ შენიშვნები და ბოლოს დააფიქსიროთ თქვენი მოსაზრებები.

პროფ. ზურაბ ლომსაძემ პროექტორის საშუალებით მოახდინა მასალის ვიზუალიზაცია და წარმოაჩინა ის ცვლილებები და დამატებები, რომლებიც განხორციელდა ბოლო რედაქციის დროს.

**სტუდენტი ქეთევან ჩაჩავა** – დებულებაში ბევრი რამ გაურკვეველია, რა ამოიღეს და რა დარჩა, არ გვქონდა საშუალება გავცნობოდით დებულებას შესწორებული სახით. საქართველოს კანონის თანახმად, სტუდენტებს გვაქვს უფლება ჩავერთოთ სტუ-ს მართვასა და გადაწყვეტილების მიღებაში. სევე,

გვაქვს უფლება ერთი სტუდენტი ჩავრთოთ საარჩევნო კომისიაში. სტუდენტის ჩართულობა ამ პროცესში აუცილებელია. ეს მონიჭებულია კანონით.

**პროფ. ზურაბ ლომსაძე –** თქვენთვის დებულების საბოლოო სახით გაცნობის საშუალება დღემდე არ მოგვეცა, რადგან წარმოდგენილი სახით იგი მხოლოდ გუშინ იქნა მიღებული აკადემიური საბჭოს მიერ. ამ მხრივ თქვენ და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი-პედაგოგები ერთნაირ პირობებში იყავით. დებულებაში გაუქმდა საპროცედურო კომისია, სხვა მნიშვნელოვანი არაფერი შეცვლილა. სტუდენტების მონაწილეობა უნივერსიტეტის მართვაში ნიშნავს იმას, რომ თქვენ შეგიძლიათ კენჭისყრაზე ამ დებულებას მისცეთ ან არ მისცეთ ხმა, თორემ საკონკურსო კომისიაში მონაწილეობა არ ნიშნავს უნივერსიტეტის მართვას. მე მიმაჩნია, რომ სტუდენტი ვერ გააკეთებს აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეთა ობიექტურ და სრულყოფილ შეფასებას, რადგან შერჩევის წესში 2 მთავარი მომენტია: კონკურსანტი შესაბამისია იმ სპეციალობასთან, რაზეც აქვს პრეტენზია და მეორე, პიროვნების რეპუტაცია, რასაც ასევე ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

**პროფ. გენადი იაშვილი –** ვეთანხმები სტუდენტს, რომ გუშინ ღამით მიღებული გადაწყვეტილება შეგვეძლო გადაგვეტანა ერთი დღით მაინც. მე მაქვს რამდენიმე შეკითხვა:

1. დახასიათება-რეკომენდაცია ვინ უნდა მოგვცეს? ვფიქრობ შეიძლება დაემატოს სტუდენტის რეკომენდაციაც.
2. პირი, რომელიც მუშაობს სხვა დაწესებულებაში, აქვს თუ არა კონკურსში მონაწილეობის უფლება?

**პროფ. ზურაბ ლომსაძე –** ლაპარაკია სასწავლო დაწესებულებაში მუშაობის შეზღუდვაზე, მაგრამ თუ მუშაობს კერძო სექტორში, არ ეკრძალება შეთავსება.

**პროფ. გენადი იაშვილი –** ნარკოლოგიურიდან ცნობა შეურაცხმყოფელია. უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტიდან ექნება ანაზღაურება კომისიას? ვთქვათ, კონკურსანტს დამთავრებული აქვს ასპირანტურა, უთანაბრდება თუ არა დოქტორანტს?

**პროფ. ზურაბ ლომსაძე –** არის მოსაზრება, რომ ნარკოლოგიური ცნობა კონკურსანტს მოეთხოვოს იმ შემთხვევაში, თუ საჭიროდ ჩაითვლება. შესაბამისი კომისიის ანაზღაურება შეიძლება მოხდეს უნივერსიტეტის მიერ. ამ კონკურსის მიზნისათვის დოქტორანტურა და ასპირანტურა ამჟამად არ უთანაბრდება ერთმანეთს.

**პროფ. დავით ჯაფარიძე –** ნარკოლოგიური შემოწმება დებულებაში უნდა იდოს. თუ წინასწარ არ გაივლის, მონაწილეობა არ უნდა მიიღოს კონკურსში, განსაკუთრებით 40 წლის ქვემოთ.

**პროფ. სერგო დადუნაშვილი –** სავარაუდოდ ჩასაბარებელი იქნება 20-დან 100 საბუთამდე, რატომ მოვიტანოთ ნოტარიულად დამოწმებული?

**პროფ. ზურაბ ლომსაძე –** თუ წარმოადგენთ დედანს, ნოტარიულად დამოწმებული ასლი აღარ იქნება საჭირო. ეს საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დაკარგული გაქვთ დედანი.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი –** მეც მაქვს შენიშვნები: სტატისტიკური მონაცემებით, 40 წლის ზემოთ გახშირდა ნარკომანთა რიცხვი. ცნობა დასჭირდება იმასაც, ვინც ალკოჰოლს იყენებს. კომისია უფლებამოსილია ნიშნავს, რომ ის ამ უფლებას ან, გამოიყენებს ან არა. კარგი იქნება, თუ დავავალდებულებთ. ნასამართლეობასთან დაკავშირებით სუბიექტური მიდგომაა საჭირო. კორესპონდენციაში შედის განცხადება და საჩივარიც. თუ წერია ვის ეკუთვნის, ეს უკვე კორესპონდენციაა. რა იგულისხმება კოორდინაციასა და მონიტორინგში? ვინ იღებს კონკრეტულ პირთან ინტერვიუზე გადაწყვეტილებას? გამოქვეყნებასთან დაკავშირებით შეზღუდვა იქნება თუ არა? 2003 წლამდე გამოქვეყნებული ნაშრომები იურისპრუდენციაში არაფერს არ ნიშნავს, რადგან მას შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. ეს ნიშნავს, რომ ის ახლებურად არ აზროვნებს.

**პროფ. ზურაბ ლომსაძე –** ისეთი შთაბეჭდილება არ დარჩეს ვინმეს, რომ უნივერსიტეტში დგას ლოთობის პრობლემა. რაც შეეხება ნასამართლეობას, ის გათვალისწინებული იქნება ეთიკის მონიტორინგის შესაბამისი კომისიის მიერ. რა იგულისხმება მონიტორინგსა და კოორდინირებაში? კოორდინირებაში ცხადია მართვას არ ვგულისხმობთ. აქ იგულისხმება საკონკურსო კომისიების მიერ კონკურსის შესახებ დებულების ერთგვაროვანი შესრულების კოორდინირება. მონიტორინგი კი იმიტომაა საჭირო, რომ კომისიებმა მართლაც იმუშაონ და არ მოხდეს ისე, რომ კომისიის რომელიმე წევრი არ დადიოდეს და გადაწყვეტილებას იღებდეს მხოლოდ 1-2 კაცი. ეს უნდა შემოწმდეს. სამეცნიერო ნაშრომებს რაც შეეხება, დადებული იქნება ყველა ნაშრომი და კომისია შეაფასებს რამდენად ღირებულია. ნაშრომები ტექნიკის დარგში სხვანაირად ფასდება, განსხვავებით იურისპრუდენციისგან. დახასიათება უნდა გასცეს იმან, ვისაც თქვენ ჩათვლით საჭიროდ. დახასიათება ძირითადად პიროვნული თვისებების შეფასებას გულისხმობს.

**პროფ. ვანო თვალავაძე –** კანონი ასაკობრივი შეზღუდვის შესახებ ძალაში შედის 2009-2010 სასწავლო წლიდან, რა მოხდება ახლა რომ შევიტანო განცხადება?

**პროფ. ვლადიმერ ხოჭოლავა –** როგორ მოხდება ხელშეკრულების დადება?

**პროფ. ზურაბ ლომსაძე –** 1 სექტემბრიდან.

**პროფ. აგული სოხაძე –** ვანოს შეკითხვასთან დაკავშირებით, ვთქვათ პარლამენტმა არ შეცვალა კანონი. კონკურსის ჩატარების შემდეგ დარჩა ვაკანტური ადგილები, რა მოხდება ამ შემთხვევაში წელს?

**პროფ. ზურაბ ლომსაძე –** თუ სრულად არ დაკომპლექტდა ფაკულტეტები, კონკურსი კვლავ გამოცხადდება.

**პროფ. ჯუმბერ იოსებიძე –** სტუდენტების კომისიაში შესვლის საკითხი განიხილოს აკადემიურმა საბჭომ.

**პროფ. დავით ჯაფარიძე –** ჯერ არ არის გარკვეული ვინ შევა კომისიაში.

**სტუდენტი თეიმურაზ დუნდუა –** დებულებაში არის რაოდენობა, მაგრამ არ არის ჩამოყალიბებული ვინ იღებს მონაწილეობას კომისიაში. ვითხოვთ, რომ სტუდენტის აზრი იყოს დაფიქსირებული.

**პროფ. ზურაბ ლომსაძე –** აკადემიურ საბჭოში წერილის შეტანისა და განხილვის რეგლამენტი არსებობს და ამის შესახებ თქვენთვის ცნობილია. გთხოვთ ოფიციალურად შემოიტანოთ საკითხი აკადემიურ საბჭოში.

**სპიკერი –** შევიტანოთ წინადადება აკადემიურ საბჭოში, რომ აკადემიურმა საბჭომ განიხილოს საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში ერთი სტუდენტის შეყვანის შესაძლებლობა. გთხოვთ ვუყაროთ კენჭი.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა: მომხრე – 54, წინააღმდეგი – 4, თავი არავის შეუკავებია.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის**
**წარმომადგენლობითი საბჭოს**
**2009 წლის 20 მაისის №32 სხდომის**

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1**

***საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 20 მაისის №32 სხდომაზე გადაწყდა, რომ წარმომადგენლობითმა საბჭომ მიმართოს წინადადებით აკადემიურ საბჭოს, განიხილოს საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში ერთი სტუდენტის შეყვანის შესაძლებლობა.***

**სპიკერი –** გთხოვთ, კენჭი ვუყაროთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საარჩევნო დებულებას "აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის შესახებ".

კენჭისყრის შედეგი შემდეგია: მომხრე – 25, წინააღმდეგი – 17, თავი არავის შეუკავებია. **დებულება ვერ დამტკიცდა ქვორუმის უქონლობის გამო.** სტუდენტებმა დატოვეს სხდომა. დღის წესრიგის დანარჩენი საკითხების განხილვაც შეწყდა ზემოაღნიშნული მიზეზის გამო.

**სპიკერმა, პროფ. ეკატერინე თევზაძემ** წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ ქვორუმის უქონლობის გამო სხდომა გადაიდო. დამსწრე საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, პროფესორი /ეკატერინე თევზაძე/

სხდომის მდივანი,
ასოცირებული პროფესორი / გინა გურეშიძე/